

ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №65  
2015 წლის 1 დეკემბერი

დაბა ადიგენი

ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის დადგენილება №71 - ვებგვერდი, 22.11.2017წ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

დამტკიცდეს ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის დებულება დანართის შესაბამისად.  
ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის დადგენილება №71 - ვებგვერდი, 22.11.2017წ.

**მუხლი 2**

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ადიგენის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 მარტის №11 დადგენილება ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) 11/03/2015 010250050.35.137.016163).

**მუხლი 3**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ადიგენის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

იმედა მღებრიშვილი

დანართი №1

ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №33 - ვებგვერდი, 27.12.2021წ.  
ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 ნოემბრის დადგენილება №65 - ვებგვერდი, 17.11.2022 წ.

ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის დებულება

**მუხლი 1. ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური**

1. მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური (ტექსტში შემდგომ – სამსახური) არის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებასა და კეთილმოწყობის სამუშაოთა დაგეგმვას და ორგანიზებას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოთა დაგეგმვის, ინფრასტრუქტურული პროექტების მომზადება-განხორციელებისა და შესაბამისი ადგილობრივი შესყიდვების განხორციელებისათვის წინადადებების მომზადებას. მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და ქალაქთმშენებლობის დოკუმენტების შემუშავებას, მშენებლობის ნებართვების თაობაზე გადაწყვეტილებების მომზადებას, მშენებლობის საკითხების კოორდინაციას, არქიტექტურულ სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დაცვას. ამ და სხვა ინფრასტრუქტურულ, არქიტექტურულ საკითხებზე საკრებულოსა და მერიის გადაწყვეტილებების აღსრულებას.

2. სამსახური საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიის დებულების, ამ დებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.



3. სამსახურის საშტატო განრიგი და პროფესიულ საჯარო მოხელეთა (შემდგომ – მოხელე) თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრება მერიის საშტატო ნუსხით.

## **მუხლი 2. სამსახურის სტრუქტურა**

1. სამსახური შედგება მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისაგან –სამსახურის უფროსისაგან, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისაგან, ინსპექტირებისა და კონტროლის განყოფილების უფროსისაგან (შემდგომ – განყოფილების უფროსი) და სამსახურის მოხელეებისაგან.

2. სამსახურის საქმიანობას წარმართავს სამსახურის უფროსი, სამსახურის უფროსის უფლებამოსილება და სამსახურებრივი ფუნქციები განისაზღვრება „ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 17 ივლისის №23 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-8 მუხლის, მე-11 მუხლის მე-5-ე პუნქტით და სამსახურის უფროსის სამუშაოთა აღწერილობით. უფროსის არყოფნის შემთხვევაში, სამსახურის უფროსის უფლება-მოვალეობას ახორციელებს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი რომლის უფლებამოსილება განისაზღვრება „ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 17 ივლისის №23 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-12 მუხლით და განყოფილების უფროსის სამუშაო აღწერილობით.

3. სამსახურის მოხელეების უფლება-მოვალეობები განისაზღვრება „ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 17 ივლისის №23 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-16 მუხლით, სამსახურის მოხელეების ფუნქციები განისაზღვრება შესაბამისი სამუშაოთა აღწერილობით.

4. სამსახურის მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლებისა და კარიერული განვითარების წესები განისაზღვრება მერიის დებულებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

*ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 დეკემბრის დადგენილება №73 - ვებგვერდი, 06.12.2022წ.*

## **მუხლი 3. სამსახურის შემადგენლობა**

1. ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის შემადგენლობაში შედის:

ა) პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

ბ) მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

გ) სამსახურის მოხელეები

2. სამსახურის სტრუქტურის ქვედანაყოფია:

ა) ინსპექტირებისა და კონტროლის განყოფილება.

## **მუხლი 4. სამსახურის ფუნქციები**

სამსახური დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამების შემუშავებას და მათი განხორციელების მონიტორინგს;

ბ) წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებას მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ობიექტების შექმნის, განვითარების და მათი ექსპლოატაციის საკითხებზე;



გ) მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ობიექტების მოვლა-პატრონობას;

დ) ტერიტორიის კეთილმოწყობის მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების მომზადებას და მათ განსახორციელებლად რეკომენდაციებისა და წინადადების შემუშავებას;

ე) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, ხიდების, გარე განათების რეაბილიტაციისა და განვითარების დაგეგმვას, შესაბამისი პროგრამებისა და პროექტების მომზადებას, მათი განხორციელების კოორდინაციას;

ვ) სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის დოკუმენტების მომზადების ორგანიზებას;

ზ) წინადადების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებას სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების პროექტებზე;

თ) წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადებას დასახლებათა მიწათსარგებლობის, უფლებრივი ზონირების, ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხებზე;

ი) გეგმარებითი დავალებების მომზადებას;

კ) მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებას;

ლ) წინადადებების შემუშავებას სასაფლაოების მოვლა-პატრონობისა და შესაბამისი საზოგადოებრივი მომსახურების ორგანიზების საკითხებზე;

მ) სამშენებლო მუნიციპალური დაკვეთების მომზადებას და მათი განხორციელების კოორდინაციას;

ნ) საქმისწარმოებას მშენებლობის ნებართვების გაცემასთან დაკავშირებით;

ო) მშენებლობის ნებართვების თაობაზე სამართლებრივი აქტების შემუშავებას;

პ) შესრულებული სამუშაოების შესაბამისი დასკვნებისა და აქტების მომზადებას;

ჟ) სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს, სახელმწიფო შესყიდვების დოკუმენტაციის მომზადებას და მათ წარდგენას ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურისათვის;

რ) სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერის სამართლებრივი აქტების, მერიის წერილების, ოფიციალური დოკუმენტაციების პროექტების მომზადებას და ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიისთვის წარდგენას;

ს) მოქმედი კანონმდებლობით და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას.

ტ) უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტის ან მისი ნაწილის ლეგალიზებასთან დაკავშირებულ საქმისწარმოებას, სამართლებრივი აქტების მომზადებას და გადაწყვეტილებების მიღებას ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზაციის შესახებ;

უ) გამოაქვს გადაწყვეტილება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის ან აღრიცხვაზე უარის თქმის შესახებ, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში აღრიცხავს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს სააღრიცხვო ბარათში;

ფ) განიხილავს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განცხადებებს და იღებს გადაწყვეტილებას ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამებთან დაკავშირებით.



## **მუხლი 5. ინსპექტირებისა და კონტროლის განყოფილება.**

ინსპექტირებისა და კონტროლის განყოფილების ძირითადი ფუნქციებია:

ა) სამშენებლო საქმიანობის კოორდინაციისა და რეგულირების ერთიანი პოლიტიკის გატარება, ამ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზება კომპეტენციის ფარგლებში;

ბ) პრიორიტეტების შერჩევა, შესაბამისად, დეფექტური აქტების მომზადება, მშენებარე ობიექტების ინსპექტირება და გეგმა-გრაფიკის შესრულების კონტროლი. საპროექტო სამშენებლო სამუშაოების ინსპექტირებაში მონაწილეობის მიღება;

გ) შესრულებული სამუშაოების შესაბამისი დასკვნებისა და აქტების მომზადება;

დ) სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი, სახელმწიფო შესყიდვების დოკუმენტაციის მომზადება და მათი წარდგენა ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურისათვის;

ე) სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული წერილების, ოფიციალური დოკუმენტაციების პროექტების მომზადება და ადიგენის მუნიციპალიტეტის მერისა და სხვა უწყებებისა და ორგანიზაციებისათვის წარდგენა;

ვ) მუშაობის პროცესში შემსრულებლის მიერ მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მიხედვით სამუშაოების შესრულების ინსპექტირება-კონტროლი;

ზ) სტრუქტურულ ერთეულში შემოსული კორესპონდენციის მიღება, შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების განხორციელება;

თ) სარეაბილიტაციო ობიექტებზე ფოტომასალის შედგენა;

ი) ყველა იმ საქმიანობისა და ფუნქცია-მოვალეობათა განხორციელება, რაც მიეკუთვნება ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურს მოქმედი კანონმდებლობით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივი აქტებით, ამ დებულებითა და მოხელის სამუშაო აღწერილობის შესაბამისად.

ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 16 ივნისის დადგენილება №37 - ვებგვერდი, 19.06.2023 წ.

## **მუხლი 6. დებულებაში ცვლილების ან/და დამატების შეტანის წესი**

დებულებაში ცვლილების ან/და დამატების შეტანა ხორციელდება ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

